მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო,

წარმოგიდგენთ 2024 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

მინდა გითხრათ, რომ საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა განახორციელა ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ სამსახურებთან და ა(ა)იპ-ებ-თან ერთად, რაც პირდაპირ კავშირში იყო საზოგადოების მოთხოვნებთან და ინტერესებთან.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

2024 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 43 განცხადება (137 ინფორმაცია), დაკმაყოფილდა 41 განცხადება (132 ინფორმაცია) - განხილვის ეტაპზეა 2 განცხადება (5 ინფორმაცია). დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების სხვისთვის გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა. 2024 წლის მონაცემებით, საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინარული სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

2024 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სულ 11000 კორესპოდენცია, მათ შორის მთავრობის განკარგულება და დადგენილება, მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სოციალური საკითხებზე დაკმაყოფილდა 2450 განცხადება და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების 3188 შუამდგომლობა. გამოიცა მერის 1477 სამართლებლივი აქტი. შიდა წერილების რაოდენობაა 3162.

2024 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო 12 წერილი სკოპინგის შესახებ, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია განთავსდა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე,

მერიაში დანერგილია მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემა (MSD).

2024 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა საბოლოო შეფასება. შეფასდა მერიის 60 პროფესიული საჯარო მოხელე. 2024 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა ერთი ღია კონკურსი სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში და შიდა კონკურსი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

2024 წლის გეგმის შესაბამისად გადამზადდა 5 პროფესიული საჯარო მოხელე.

მომზადების პროცესშია 2025 წლის პროფესიული განვითარების გეგმა.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ აღძრულია იქნა 5 სამოქალაქო სარჩელი, საამშენებლო კომპანიების მიმართ გადაუხდელი ჯარიმების შესახებ.

როგორც მოპასუხე, მერია საანგარიშო პერიოდში გამოდიოდა 3 ადმინისტრაციულ საქმეზე,

როგორც მესამე პირად ჩართული, კი გამოდიოდა 2 ადმინისტრაციულ საქმეზე. მერიის ინიციატივით საკრებულოზე დასამტკიცებლად გატანილი იყო 14 დადგენილება და 20 განკარგულება.

კოორდინაციის განყოფილების მიერ ადმინისტრაციულ ერთეულებში გროვდებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

ყოველი კვირის ოთხშაბათს მერის წარმომადგენლებთან,პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით,იმართებოდა ანალიტიკური მსჯელობა.

ჩატარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ ყველა სოფელში, (დასახლებებში) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N 2752 განკარგულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ყველა სოფლისთვის გამოყოფილი თანხა 580000 ლარი გამოყენებული იქნა იმ პრიორიტეტების მიხედვით, რაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მიერ იქნა არჩეული.

პერიოდულად ეწყობოდა საჯარო შეხვედრები სოფლებში, დასახლებულ პუნქტებში.

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოვიდა და შემოწმდა შესაბამისი სკრინინგის ფორმის შევსებით - 47 განცხადება.

ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე ორმოცდაშვიდივე განმცხადებელს გაეწია ფინანსური დახმარება მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

რაც შეეხება ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმას, იგი დამტკიცდა 2023 წლის 28 დეკემბერს ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით და განისაზღვრა 10350042 ლარით. 2024 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2024 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 14574839 ლარი.

2024 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იქნა 69 ელექტრონული ტენდერი.

საფინანსო-საბიუჯეტო

ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 22 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N25 დადგენილებით. ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა - 12800,0 ათასი ლარის ოდენობით. შეტანილი ცვლილებების შედეგად და შემოსულობები დაზუსტდა 26422,0 ათასი ლარის, გადასახდელები 28109,3 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1687,3 ათასი ლარის მოცულობით.

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 26292,4 ათასი ლარი, გეგმის 99,5%. მათ შორის გადასახადების წლიური გეგმა შესრულდა 104,1%ით, გრანტები 98,8%, სხვა შემოსავლების 47,7%, არაფინანსური აქტივების კლება 96,9%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი 28109,3 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 93,8%, 26368,4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის:

(01 00) მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება 4742,9 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 4722,8 ათასი ლარია, გეგმის 99,6%.

(02 00) ინფრასტრუქტურის განვითარების ასიგნებების გეგმა 12912,9 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიური შესრულებაა 11310,4 ათასი ლარი, გეგმის 87,6%.

(03 00) დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამებზე გეგმით 1536,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 1536,4 ათასი ლარი მიიმართა, შესრულება 100,0%ს შადგენს.

(04 00) განათლების სფეროს მიმართულებით გაწეული ხარჯი, როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 3579,8 ათასი ლარის შეადგენს.

(05 00) კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულების საბიუჯეტო პროგრამების ჯამური საკასო ხარჯი 3070,8 ათასი ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 97,4%.

(06 00) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ასიგნებების მოცულობა 2080,2 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 2043,3 ათასი ლარია, წლიური გეგმის 98,2%.

(07 00) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე 2024 წელს გეგმით 105,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 104,9 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 99,9%-ია.

ინფრასტრუქტურა

2024 წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა რეაბილიტაციაზე განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 189 პროექტი, რომელიც მოიცავდა ლოკაციის მიხედვით 421 ობიექტს. საერთო ღირებულებით 22 949 695 ლარი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 6 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 21 პროექტი, 48 ლოკაცია. სამუშაოთა განხორციელებისთვის გამოყოფილია 7 206 824 ლარი, აქედან თანადაფინანსებაა 102713 ლარი. პროგრამა ძირითადად მიიმართა საგზაო ინფრასტრუქტურის და სასმელი წყალის რეაბილიტაციაზე. პროექტები დასრულებულია. სულ რეაბილიტირებული იქნა 25,015 კილომეტრი საავტომობილო გზა.

2. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო 4 620 000 ლარი, დაფინანსდა 46 პროექტი, 246 ლოკაცია. დასრულდა 33 პროექტი, მიმდინარე 9 პროექტი, მიუხედავად ტენდერის რამდენიმეჯერ გამოცხადებისა 4 პროექტი ვერ დაკონტრაქტდა.

3. საგანმანათლებლო სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა საჯარო სკოლის გარდამავალი 2 პროექტი. განხორციელდა სრული რეაბილიტაცია (ზეინდრის საჯარო სკოლა),საერთო ღირებულებით 2 100 000 ლარი. სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ქ. ვანშიN1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით 7 000 000 ლარი.

4. აშენდა ერთი საბავშვო ბაღი 50 აღსაზრდელზე /მუქედი/ მგფ-ის მიერ დაფინანსდა 1 291 246 ლარით, პროექტი დასრულებულია.

5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 81 პროექტში. პროგრამა დაფინანსდა 580 000 ლარით. თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან და წინა წლების ეკონომიებით გამოყოფილია 69 149 ლარი. დაკონტრაქტდა და დასრულდა 79 პროექტი. 2 პროექტი დასაკონტრაქტებელია, მიმდინარეობს დაკონტრაქტებისთვის საჭირო სამუშაოები.

6. მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 39 პროექტი გამოყოფილია 254338 ლარი. დასრულებულია 38 პროექტი, ერთი პროექტი გაუქმდა და ამოღებულია ხელშეკრულებიდან.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად სამსახური მუშაობს მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა პროგრამის მიხედვით შემოსული განცხადებების მომსახურებაზე.

1. საანგარიშო წელს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 383 განცხადება. მათგან: ფინანსური დახმარება გაეწია 35 ოჯახს თანხით 98 000 ლარი; 84 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში; გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 249 ოჯახი და 6 საუბნო გზა.

2. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისავის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 14 შეთანხმების წერილი და 33 სანებართვო მოწმობა.

ზედამხედველობა

2024 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული, ვანის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში აშენებული 14 შენობა-ნაგებობა.

სამშენებლო სამართალდაღვევის ფაქტებზე გაიცა 8 მითითება. მითითებით გათვალისწინებულ ვადებში აღმოფხვრილი იქნა სამართალდარღვევის ფაქტები და მომზადებული იქნა შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში კომპანიებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 3588.84 ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში დაფიქსირდა 27 386 ლარი.

ქონება

ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა 2024 წლის

განმავლობაში განახორციელა 25 ერთეული უძრავი ნივთის პრივატიზება, აქედან: 20 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, 2 ერთეული შენობა-ნაგებობის (დემონტაჟი), 2 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, 1 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის.
3 ერთეული უძრავი ქონება იჯარით განიკარგა:

სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით 10 წლის ვადით გაიცა ქალაქ ვანში სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 10,5 კვ.მ. და შოთა რუსთაველის ქუჩის N6-ში მდებარე 1275 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. 5 წლის ვადით კი გაიცა ქალაქ ვანში, მშვიდობის გორაზე მდებარე (ტყე-პარკი) 57 393კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებიდან შემოვიდა 310 645 (სამას ათი ათას ექვსასორმოცდახუთი) ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების იჯარიდან კი შემოვიდა 4200 (ოთხიათასორასი) ლარი.

კომუნალური

ა(ა)იპ ვანის კომუნალურ გაერთიანებას განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად 2024 წლის ბიუჯეტიდან გამოეყო 916 800 ლარი. დასაქმებულია 97 თანამშრომელი.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შრომითი მოწყობისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან დასაქმდა 467 პირი.

მერიის მიერ შეძენილი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის 300 ერთეული ურნა და 2 ერთეული 16 ტონიანი ნაგავმზიდი, რომელიც გადაეცა კომუნალურ გაერთიანებას, რამაც საგრძნობლად შეამცირა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გადატვირთული ურნები,ხელი შეუწყო სისუფთავის დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პრობლემად კვლავ რჩება ქუჩაში უმეთვალყურეოდ გაშვებული პირუტყვი,რომელიც აზიანებს სკვერებსა და გაზონებში გაშენებულ მცენარეებს.

სოციალური

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებით 2024 წლისთვის დამტკიცდა 16 სოციალური პროგრამა. 2024 წლის 9 ოქტომბრის N 6 დადგენილებით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამაში“ შევიდა ცვლილება. 2024 წლის ბიუჯეტით სოციალური პროგრამებისთვის თავდაპირველად გამოყოფილი იყო 955000 ლარი. 2024 წლის აგვისტოში და დეკემბერში განხორციელებული კორექტირებების შედეგად წლიური ბიუჯეტის საბოლოო ოდენობა განისაზღვრა 1006000 ლარის ოდენობით. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 43 ბრძანება. საბიუჯეტო სახსრები, პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 58300 ლარი. დაკმაყოფილდა 161 ბენეფიციარი, თანხით 58300 ლარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 32300 ლარი. დაკმაყოფილდა 77 ოჯახი, თანხით 32300 ლარი.

3. სამედიცინო დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 453300 ლარი. საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილდა 1032 ბენეფიციარი, თანხით 453300 ლარი.

4. ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 126600 ლარი. პროგრამით ისარგებლა 77 ბენეფიციარმა, გახარჯულია 126600 ლარი.

5. შშმ პირთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 61100 ლარი. დაკმაყოფილდა 216 ბენეფიციარი, თანხით 61100 ლარი.

6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 54200 ლარი. ყოველდღიური უფასო სასადილოთი სარგებლობდა 25 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში საკვები პროდუქტებით სააღდგომოდ და საახალწლოდ დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ ან/და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 100-100 ოჯახს. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 54154.8 ლარი.

7. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 88000 ლარი. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემოდა სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე. დახმარების ოდენობა განსაზღვრული იყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 5000 ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 35 ბენეფიციარი, თანხით 88000 ლარი;

8. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი 3000 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 ლარის ოდენობით მიეცათ 100 და მეტი წლის პირებს. დაკმაყოფილდა 3 ბენეფიციარი, თანხით 3000 ლარი;

9. ვეტერანთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 12500 ლარი. მონაწილეებს. დაკმაყოფილდა 35 ბენეფიციარი, თანხით 12500 ლარი;

10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 19100 ლარი. დაკმაყოფილდა 91 ბენეფიციარი, თანხით 19100 ლარი;

11. სტუდენტთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 37000 ლარი. დაკმაყოფილდა 74 ბენეფიციარი, თანხით 37000 ლარი.;

12. ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 1500 ლარი. დაკმაყოფილდა 3 ბენეფიციარი, თანხით 1500 ლარი;

13. ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 18300 ლარი. საანგარიშო პერიოდში ბინის ქირით დაფინანსება/თანადაფინანსება გაეწია 19 ოჯახს, გაიხარჯა 18260 ლარი;

14. სარიტუალო დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 8500 ლარი. დაკმაყოფილდა 29 ბენეფიციარი, თანხით 8500 ლარი;

15. მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 7000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა, გახარჯულია 7000 ლარი;

16. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა, წლიური ბიუჯეტი 25300 ლარი. დახმარება გაეწია 32 ოჯახს, თანხით 25300 ლარი.

სულ 2024 წელს დახმარება გაეწია 1905 ბენეფიციარს, თანხით 1005914.8 (წლიური ბიუჯეტის 99.99 %).

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება 8 სახის სახელმწიფო პროგრამა. სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი 2024 წლისათვის განსაზვრული იყო 176 000 (ასსამოცდათევსმეტიათასი) ლარით. საანგარიშო პერიოდისათვის ხარჯვითმა ნაწილმა კი შეადგინა 139 727 (ასოცდაცხრამეტიათას შვიდასოცდაშვიდი) ლარი.

დაფიქსირდა 14 სახის ინფექციური დაავადების შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აცრები.

კ უ ლ ტ უ რ ა

გარკვეული სამუშაოები გასწია კულტურის, განათლების, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა. კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის, ასევე სახელოვნებო, განათლებისა დატურიზმის ცენტრებთან ერთობლივი, შემოქმედებითი მუშაობის შედეგად განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი; ქალთა და დედის დღის თარიღებთან დაკავშირებით ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ღირსეული ქალბატონები და საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ ჯარისკაცთა დედები; ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცა 15 ოქროსმედალოსან კურსდამთავრებულს; აღინიშნა „დედა ენის“ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეები; მაცხოვრის ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო საცხენოსნო დოღი სხვადასხვა რეგიონთა წარმომადგენლების მონაწილეობით’ ბარბარობის დღესასწაულზე ვსტუმრობდით და ფასიანი საჩუქრები გადავეცით ვანი-ბაღდათის ეპარქიისა და ვაშლარას დედათა მონასტერში მყოფ დედაოებს; აღინიშნა სახალხო დღესასწაული „ვანელობა“, გალაკტიონისა და ტიციან ტაბიძეების საიუბილეო საღამოები, კალისტრატე ცინცაძისა და კორნელ კეკელიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გაიმართა საახალწლო ღონისძიებები ადგილობრივი და მოწვეული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით.

კარლო საკანდელიძის სახელობის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „გაკვეთილი“.

კარგია, რომ აქტიური სახე მიიღო გასვლითმა ღონისძიებებმა. კერძოდ: მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები ჩატარდა სოფელ ხიბულაში ზვიად გამსახურდიას 85 და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთაში მუხრან მაჭავარიანის 95 საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. ასევე დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა გელათის სამონასტრო კომპლექსში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ფოლკლორული ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობა, რომელსაც უფრო მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.ქალაქ ქუთაისში გამართულ ფოლკლორის კონკურსში მონაწილეობა მიიღო გუნდმა“ შუამთამ“ და სალოტბარო სკოლამ.

აქვე უნდა ითქვას ანსამბლ“იმერულას“ მონაწილეობის შესახებ ზესტაფონში გამართულ ფესტივალში, სადაც ვარინკას სახელობის პრიზი დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ ვანს სხადასხვა პერიოდში სტუმრობდა მოწვეული ანსამბლები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და ადამიანთა განწყობის ამაღლებისათვის.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა სასკოლო ტურნირი ჭადრაკსი, მაგიდის ჩოგბურთი, შეჯიბრი გეზრბენში, სასკოლო ტურნირი მინი ფეხბურთში,. ქალაქ ქუთაისში გამართულ კალათბურთის სასკოლო ლიგაში მონაწილეობა მიიღო გოგონათა ნაკრებმა და მესამე ადგილი დაიკავა, ასევე მესამე ადგილი დაიკავა შუამთის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა ფრენბურთში გამართულ რეგიონალურ ტურნირში.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით გაიმართა საჭადრაკო ტურნირი - „ნინო ხურციძის მემორიალი 2024“, რომელშიც 11 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას.

ჩატარდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-2025“-ის ფარგლებში. მუნიციპალური ტურნირები გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთში კალათბურთში, ფრენბურთსა და მინი ფეხბურთში.

ვანის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სენაკსა და ზესტაფონში გამართულ ქართული კლასიკური მუსიკის ეროვნულ კონკურსებში. მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიული წრის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისსა და ქობულეთში გამართულ ქორეოგრაფიულ ფესტივალში. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოწვეული პირების მიერ ჩატარდა შემეცნებითი საუბრები და კონფერენცია „საქართველოს წარსული და მომავალი“.

ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ სხვადასხვა თემებზე ჩატარდა როგორც მხატვრული, ისე შემეცნებითი ღონისძიებები. ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარებით ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 1000 ლარის ღირებულების მხატვრული ლიტერატურით.

გამოიცა ჟურნალ „მატიანეს“ ახალი 26-ე ნომერი.

ტურიზმი

ა(ა)იპ „ვანისტურიზმის ცენტრის“ 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 105 000 ლარით, აქედან გახარჯულია 104 886 ლარი.

ბიუჯეტის შესაბამისად განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები და ცენტრის 2024 წლის საქმიანობის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა ბრენდსტრატეგიის - „ვანი ანტიკური ქალაქი“- გაძლიერება და გააქტიურება.

კულტურულ-ისტორიული ტურიზმის მიმართულება და დანიშნულება გამოიხატა ყველა გახორციელებულ აქტივობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.
საანგარიშო პერიოდში ვანის მუნიციპალიტეტში შემოვიდა 20 000 ტურისტი (მსყიდველუნარიანი).აქედან: უცხოელი- 3710, შიდა 16290. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. 6030 ვიზიტორზე სხვადასხვა ლოკაციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად ვანს სტუმრობდა 1296 უცხოელი და 4734 შიდა ტურისტი „ვანის ტურისტულმა ცენტრმა“ კი უშუალოდ უმასპინძლა 628 ტურისტს.
ხშირად მონახულებადი ობიექტები იყო: ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, გ. ყიფიანის სახელობის ტყე-პარკი, ებრაული სინაგოგა, კ. კეკელიძის, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმები, სოფელ ინაშაურში „ალი და ნინის საფლავი“, ლილუაშვილების მამული,უხუთის ეკო სახლები, კურორტი სულორი, დავით ლომინაძის მარანი და ა.შ.
„ვანის ტურიზმის ცენტრის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად (24 სთ) ზოგადი სტატისტიკით დაფიქსირდა 50-80 ტურისტი. მზარდი ინტერესით აქტიურ ლოკაციად კვლავ რჩება „დიხაშხოს გოგირდის გეიზერი“. ასევე დიდია ინტერესი ადგილობრივ ავთენტურ კერძებსა და რეწვის ოსტატთა შემოქმედების მიმართ.
„ვანის ტურიზმის ცენტრი“ აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა თუ რეგიონალურ კონფერენციებში.
განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახალხო დღესასწაული „ვანელობა“, სადაც „ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების, რეწვის ოსტატთა და კულტურული ტურიზმის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა „კრაფტფესტის“ ფარგლებში,ხოლო „იმერული ღვინის გზის“ ფარგლებში მოეწყო ვანელი მეღვინეების პროდუქციის გამოფენა- გაყიდვა, შემოდგომის ნობათის პრეზენტაცია-დეგუსტაცია, უზრუნველყო დღესასწაულის ფოტო-სესია, რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა.
ქუთაისში გამართულ გასტრონომიულ ფესტივალში-იმერული გემო ფესტი - „ხიბლით სავსე იმერეთი“- მონაწილეობა მიიღო მათე ლილუაშვილმა (ლილუაშვილის მამული).
რაც შეეხება საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებს, ბოლო ორი წელია აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტები. ვანის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში დუბაი,არაბეთის გაერთიანებული საემიროებინ და პარიზი-საფრანგეთი. დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის მერმა.საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა ვანის მუნიციპალიტეტის სახელით იძლევა კომუნიკაციის შესაძლებლობას მრავალრიცხოვან ტურისტთან, გიდებთან, ტურისტულ სექტორში

ჩართულ მსხვილ სააგენტოების წარმომადგენლებთან, რაც ხელს უწყობს ცნობადობის ზრდას და გრძელვადიან პერსპექტივაში აძლიერებს საერთაშორისო დონეზე ვანის ტურისტულ იმიჯს უცხოელი ტურისტების მოსაზიდად, მათი დანახარჯებისა და ვიზიტების ხანგრძლივობის გასაზრდელად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფო-მედია ტურებს, რომლებიც ტურიზმის განვითარების მზარდ შედეგებზეა ორიენტირებული. მნიშვნელოვანი იყო გასვლითი გაკვეთილები: „წინაპართა ნაკვალევზე“ და „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“. „ღვინის გზის“ ფარგლებში „ლილუაშვილის მამულთან“ ერთად მასპინძლობა გაეწია უნგრეთის ელჩს. ინტერესი გამოიწვია ქვევრის ღვინომ. სტუმრებმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი კერძების მომზადების მასტერკლასში.

მასპინძლობა გაეწია ბლოგერს ა. შ.შ.-დან (ჩარლი ბუში), ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუიჯოუს პროვინციის დელეგაციას.

„ღვინის ტურიზმის“ გარდა ინტერესი არ შეწყვეტილა ვანის ბალნეოლოგიური, მწვანე ლოკაციებისა და ვანის ებრაული სინაგოგის მიმართ.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს საიმიჯო ვიდეო რგოლებს, ფოტო სესიებსა და მასმედიასთან ურთიერთობას.

სწორი რაკურსით გადაღებული ვანის ღირსშესანიშნაობების ტურისტულ პოლიგრაფიებში, სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა პლატფორმებზე განთავსებამ, რომელსაც თან ერთვის ორენოვანი (ქართული-ინგლისური) ანოტაცია, გაზარდა ვანის ტურისტული შესაძლებლობების ცნობადობა, რაც აისახა ვანში შემომავალ ტურისტულ ნაკადებში.

მოეწყო ფოტო-სესიები:

„იმერული რეწვის ოსტატები“, რომელზეც რუსთავი ორის მიერ მომზადდა მასალა გადაცემისთვის „დილამშვიდობისა საქართველო“, ასევე მოეწყო ფოტო სესიები: ბზობის, აღდგომის დღესასწაულების, „ვანელობა 2024“, „გალაკტიონობა 2024“, „ქართული ბოლო ზარი“, როგორც ახალი ტურისტული პროდუქტი, „საახალწლო ვანი“ და ა. შ. დასურათდა ლოკაცია „უხუთის ეკო სახლები“. განახლდა სიუჟეტები მოთხოვნადი ტურისტული ლოკაციებიდან. მომზადდა და დაიბეჭდა სტატიები რამდენიმე თემაზე გაზეთ „კვირის პალიტრაში“. ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადდა სიუჟეტი არქეოლოგიური მუზეუმიდან გადაცემისთვის „ერთი ნივთის ისტორია“.

ყველა აქტივობის ამსახველი მასალა განთავსებულია ცენტრის ფეისბუქ გვერდზე, რომელიც ორენოვანია და წლის მანძილზე მუდმივად განახლებადია გაწეული საქმიანობის შესაბამისად.

ბაღები

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ 25 საბავშვო ბაღში აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 591. კვება გამოცხადდა 500 ბავშვზე. (ბავშვთა რაოდენობა მერყეობს 350-დან 450-მდე). თანამშრომელთა რაოდენობა კი საშტატო განრიგით განისაზღვრა 331-ით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტის მერია.

საანგარიშო პერიოდში სულ გახარჯულია 3 099 365 ლარი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესებისა და სიახლეების ცნობადობის გაღრმავების მიზნით საბავშვო ბაღების ადმინისტრაციის, საბავშვო ბაღის უფროსებისა და საგანმანათლებლო პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე და შესაბამისად გაიცა სერთიფიკატები.

ერთ-ერთ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა.

საბავშვო ბაღებში მონიტორინგის მიზნით ვიზიტები განახორციელეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მონიტორინგის ჯგუფი იმყოფებოდა ყველა საბავშვო ბაღში კვების, სანიტარული ჰიგიენისა და მეთოდოლოგიის მიმართულებით.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა განმავითარებელი აქტივობები.

მშობელთა ჩართულობით განხორციელდა ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში და თემთან ურთიერთობა.

ჩატარდა ონლაინ შეხვედრები გარემოს დაცვისა და შობელთა გაძლიერების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

დედის დღისადმი მიძღვნილი (მშობელთა ჩართულობით);

სასკოლო მზაობის ჯგუფების გამოსაშვები ღონისძიებები. (ყველა აღსაზრდელს გადაეცა ფასიანი საჩუქრები. საკრებულოს დეპუტატებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს ქალაქის N1, N2,ტობანიერის, მიქელეფონისა და ფერეთას საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს);

საახალწლო ღონისძიებები („საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“ აღსაზრდელები საახალწლო ნობათით დაასაჩუქრა).

ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად საბავშვო ბაღებში ნაწილობრივ მოეწყო ეზოები.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით (2023-2024 წწ) აშენდა მუქედის საბავშვო ბაღი და ნოემბრიდან განახლდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

გაერთიანების ადმინისტრაცია და საბავშვო ბაღები აქტიურად არიან ჩართულნი საბავშვო ბაღების ავტორიზაციის სტანდარტების შესწავლა-განხორციელების მიმართულებით, მიმდინარეობს მუშაობა ხუთ წლიან სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე.

სპორტი

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 383 722 ლარით, ხარჯმა კი შეადგინა 383 722 ლარი.

გაერთიანებაში ფუნქციონირებდა ექვსი სახეობის სპორტული წრე: ჭადრაკი, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, საბრძოლო ხელოვნება, ჭიდაობა (ქართული, სამბო და ძიუდო).

საქართველოს ჩემპიონატში აქტიურად მონაწილეობდნენ კალათბურთის, სამბოს და მძლეოსნობის სპორტული წრეები. აღსანიშნავია, რომ ჭიდაობა სამბოში სპორტსმენებმა დაიკავეს 3 პირველი და 1 მეორე ადგილი. ასევე წარმატებით იასპარეზეს მძლეოსნებმა,რაც მიზნად ისახავდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატების, ევროპის მცირე ქვეყნებისა და სხვა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისათვის კანდიდატების შერჩევა-გამოვლენას. ასევე დაამარცხეს გუნდები და დამსახურებულად გაიმარჯვეს გოგონების კალათბურთელთა გუნდმა.

აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოჭადრაკეები იმერეთის ჩემპიონატსა და საჭადრაკო ფესტივალში „ნანა ალექსანდრიას თასი 2024“-ის მოსაპოვებლად.

გაიმართა სხვადასხვა სახის ტურნირები ქართულ ჭიდაობაში,სამბოში, ძიუდოსა და ჭადრაკში.მძლეოსნებმა იასპარეზეს თბილისის ღია ახალგაზრდულ პირველობაზე გამართულ შეჯიბრში.

საფეხბურთო კლუბი „ სულორი - ვანი“

საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“ ფინანსდება,როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კლუბი საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 336000 (სამასოცდათექვსმეტიათასი) ლარით, ხარჯმა კი შეადგინა 335 639 (სამასოცდათხუთმეტიათას ექვსასოცდაცხრამეტი) ლარი.

საშეჯიბრო თამაშებში მონაწილეობას ღებულობდა ბავშვთა სამი ასაკობრივი ჯგუფი.

ფეხბურთის განვითარების ფონდიდან კლუბი დაფინანსდა 120 000 (ასოციათასი) ლარით, ხარჯმა შეადგინა 119 958 და 18 თეთრი (ასცხრამეტიათას ცხრაასორმოცდათვრამეტი და18 თეთრი) .

მთავარი გუნდი მონაწილეობას ღებულობდა ლიგა 4-ის ჩემპიონატში და იგივე ადგილი შეინარჩუნა.

საანგარიშო პერიოდში გუნდისთვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი, მინდვრის საკრეჭი მანქანა და მაცივარი.

სარაგბო კლუბი „აიეტი“

რაგბის კლუბის“აიეტის“ 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 250 000 ლარს, საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა 248 079 ლარი. შესაბამისად ხორციელდებოდა დაგეგმილი ღონისძიებები.

გუნდმა მონაწილეობა მიიღო რეგიონალური მეორე წრის ჩემპიონატში. (გუნდში ირიცხება 38 მორაგბე), ასევე რეგიონალური მეორე ლიგის ჩემპიონატის პირველი წრის თამაშებში (გუნდში ირიცხეა 33 მორაგბე). ჩემპიონატში მონაწილეობდა 6 გუნდი.

რაც შეეხება ბავშვთა რაგბს, სპორტსმენთა მომზადება ხორციელდებოდა 3 ლოკაციაზე ქალაქ ვანში, შუამთასა და ზეინდარში. ასაკობრივი ჯგუფები აქტიურად მონაწილეობდნენ რაგბის კავშირის ეგიდით ჩატარებულ ბავშვთა ასაკობრივ ჩემპიონატებში.

სარაგბო კლუბ „აიეტის“ აღზრდილი მორაგბეები წარმატებით ასპარეზობენ ქალაქ ქუთაისის კლუბ „აია“-ში, ქ. ოზურგეთის კლუბ „დინოზავრებში“ და ქ. ქუთაისის ჭაბუკთა ლიგის კლუბ „აია“-ში.

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო ოთხი აუდიტორული შემოწმება., რომელიც მიზნად ისახავდა მერიაში ძლიერ შიდა ფინანსურ კონტროლს, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეკონომიკურ და ეფექტიან ხარჯვას. კონკრეტულად:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერია- „ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგრამის კოდი 02 05)
2. ა(იპ) კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი
3. ა(ა)იპ სარაგბო კლუბი „აიეტი“
4. ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

   ასევე, ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების გაცემული რეკომენდაციების შესრულების <u>მონიტორინგი</u>.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელდა წლიური გეგმით გათვალისწინებული ყველა აუდიტის ობიექტის აუდიტორული შემოწმება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ ყველა დარღვევა-ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

სამსახურის განვითარებისათვის, ეფექტური ფუნქციონირებისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, საჭიროა თანამშრომლებისათვის ხშირი ინტენსივობით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება, რათა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები უკეთ გაცნობიერდნენ შიდა აუდიტის ძირითად მიმართულებებში.

საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაციები სამსახურებისა და ა(ა)-იპ-ებ-ის მიერ გაწეული მუშაობის, ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული და სხვადასხვა პროექტების შესახებ - ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერის ოფიციალური ფეისბუქ გვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის - „vani.gov.ge-“ის მეშვეობით.